საქართველო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**გ-69. 69243374**

თარიღი:**02/12/2024**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106^1–ე მუხლის მე-15 პუნქტისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე - 3 მუხლის მე–4 პუნქტის ა.ა ქვეპუნქტისა და 116-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ხელმძღვანელის ეკა შავიძის მიერ, წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე „ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ საქმიანობა შეფასდეს .

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფოხი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი